მდინარე ჩელთის ზემოწელის გეოლოგია და მწარე დიყი ლოდუანის უბნის მინერალიზაციის საკითხები

რამაზ კობერიძე

ramazkoberidze@yahoo.com

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
უნივერსიტეტის ქ. 13, თბილისი, საქართველო, 0186

წარმოდგენილ საბაკალავრო ნაშრომში განხილულია მდინარე ალაზნის მარცხენა შენაკადის-ჩელთის აუზის გეოლოგია და მინერალიზაციის საკითხები მწარე დიყის, ლოდუანისა და ჩელთის უბნებზე. რადგან ნაშრომის შესრულების ფორმატი არ ითვალისწინებდა საველე გეოლოგიური სამუშაოების ჩატარებას მთელ რეგიონში, მე ნაშრომის ხელმძღვანელის-ასოცირებული პროფესორის კარლო აქიმიძისა და გეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის პროფესორი ბეჟან თუთბერიძის ზედამხედველობითა და კონსულტაციით საველე დაკვირვებები ვაწარმოე და შესაბამისი ქვიური საანალიზე მასალა ავიღე უშუალოდ აღნიშნულ მადანმატარებელ უბნებზე. რაც შეეხება რეგიონის გეოლოგიურ-გეოტექტონიკურ აგებულებას და გამადნების გენეზისისა და უბნის პერსპექტიულობის საკითხებს, ისინი ნაშრომში მოყვანილია ფონდური მასალისა და ელექტრონული და ბეჭდვითი ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე.